ევროპის დროით

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

ივლისი 2011 N7 (29)

კონფერენცია საქართველოს ევროპული გზა

21-23 ივლისს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებითა და ევროკავშირის მხარდაჭერით ბათუმში გაიმართა VIII საერთაშორისო კონფერენცია საქართველოს ევროპული გზა. კონფერენციაზე განიხილეს უსაფრთხოებისა და კონფლიქტის მოგვარების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის განმტკიცების, ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის საკითხები, აგრეთვე ვაჭრობის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტივები, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესაძლებლობები. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის, ევროკომისიის, ევროპარლამენტის, ევროკავშირისა და **აღმოსავლეთ პარტნიორობის** წევრი ქვეყნების პარლამენტებისა და მთავრობების მაღალი დონის წარმომადგენლებმა, ასევე, საერთაშორისო და ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა.
საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის 2011 წლის პირველი ნახევრის შესრულების ანგარიში.

კონფერენციის გახსნისას მონაწილეებს სიტყვით მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა აღნიშნა, რომ 2011 წლის დასაწყისი ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა კარგი დინამიკით გამოირჩეოდა. საქართველოს აქვს წარმატება ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის პროგრამის სამოქმედო გეგმის ფარგლებში და ახორციელებს მოლაპარაკებებს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმებისათვის.
კონფერენციას სიტყვით მიმართა ევროკომისარმა გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ბატონმა შტეფან ფულემ. ევროკომისარმა საქართველოში მიმდინარე რეფორმებზე საუბრისას აღნიშნა, რომ, საქართველო–ევროკავშირის თანამშრომლობა საერთო მიზანს _ დემოკრატიის განმტკიცებას ემსახურება.

კონფერენციაზე ყურადღება გამახვილდა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: საქართველოს მიერ ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულების ეტაპები, საქართველოს დემოკრატიული განვითარებისა და მოდერნიზაციისკენ მიმართული რეფორმები, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მიმდინარე მოლაპარაკება და ღრმა და ყოვლისმოცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ირგვლივ მოლაპარკების დაწყებასთან დაკავშირებული საკითხები.
საქართველოს ევროპული გზა საქართველოს ვიცე-პრემიერ მინისტრის გიორგი ბარამიძის, ევროკავშირის ელჩის საქართველოში ფილიპ დიმიტროვის და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის დავით დარჩიაშვილის შემაჯამებელი სიტყვით დაიხურა. კომიტეტის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა კონფერენციის მნიშვნელობაზე, ისაუბრა როგორც უსაფრთხოების სფეროში არსებულ გამოწვევებსა და ევროკავშირის როლზე მათ დაძლევაში, ასევე ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკურ და ინსტიტუციონალურ პროცესებზე, რაც საქართველოს ევროკავშირთან დაახლოვებას უწყობს ხელს.

საკონტაქტო ინფორმაცია:
საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი
საქართველო, თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი 8
ტელ.: (995 32) 2 28 17 08; (995 32) 2 28 13 92
ელ-ფოსტა: europa@parliament.ge

ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველო, თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი 8
საქართველოს პარლამენტი, C კორპუსი, ოთახი 126
ტელ.: (995 32) 2 28 13 29
ელ-ფოსტა: euinfocentre@parliament.ge

2011 წლის 11-12 ივლისს ბრიუსელში გაიმართა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკების მეექვსე პლენარული სესია

ეს ღონისძიება ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების პროცესის ერთ-ერთ სამუშაო შეხვედრას წარმოადგენს. 11 ივლისს პლენარულ სესიაზე განხილულ იქნა შეთანხმების პრეამბულა; ინსტიტუციური, ზოგადი და დასკვნითი დებულებები და პირველი და მეორე სამუშაო ჯგუფების თემები (პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა; საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში თანამშრომლობა (CFSP); მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება (JFS). 12 ივლისს მხარეებმა განიხილეს მესამე სამუშაო ჯგუფის (ფინანსური, ეკონომიკური და სექტორული თანამშრომლობა) საკითხები, შეაჯამეს მოლაპარაკების პროცესში მიღწეული პროგრესი და დასახეს სამომავლო გეგმები. მხარეების შეფასებით, მოლაპარაკებამ კონსტრუქციულ გარემოში ჩაიარა. პლენარულ სესიაზე საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თორნიკე გორდაძე. დელეგაცია დაკომპლექტებული იყო საქართველოს შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებით. ევროპული მხარის დელეგაციას ხელმძღვანელობდა ევროპული საგარეო ქმედებათა სამსახურის (EEAS) ევროპისა და ცენტრალური აზიის მმართველი დირექტორის მოადგილე გუნარ ვიგანდი.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ მომავალი შეთანხმება ჩაანაცვლებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებულ პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას და ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის მნიშვნელოვნად გაღრმავებასა და ახალ, ხარისხობრივად უფრო მაღალ დონეზე თანამშრომლობას. აღნიშნული შეთანხმება საქართველოს ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის შესაძლებლობას მისცემს.

საქართველოს მთავრობასა და ევროპის საბჭოს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი

2011 წლის 4 ივლისს სტრასბურგში ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა მამუკა ჟღენტმა და ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ტორბიორნ იაგლანდმა ხელი მოაწერეს საქართველოს მთავრობასა და ევროპის საბჭოს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის გახსნისა და მისი იურიდიული სტატუსის შესახებ. მემორანდუმი საქართველოში აფუძნებს ევროპის საბჭოს ოფისს, რომელიც თბილისში ამჟამად მოქმედ ევროპის საბჭოს საინფორმაციო ოფისს შეცვლის. მემორანდუმი განსაზღვრავს ოფისის მიზნებს, მის მანდატსა და იურიდიულ სტატუსს. ოფისის მანდატი ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში, საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის სრული დაცვით.

მემორანდუმი ძალაში შევა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ საქართველოს მთავრობის შეტყობინების მიღების დღეს, რომელიც ადასტურებს ძალაში შესვლისთვის აუცილებელი ყველა შიდა პროცედურის შესრულებას.

მაგრამ ურთიერთგაგების მემორანდუმი შეიძლება ამოქმედდეს დროებით საფუძველზე მისი ხელმოწერის შემდგომ მხარეთა მიერ წერილების გაცვლის დოკუმენტში მითითებული დღიდან. მემორანდუმი ძალაში დარჩება მისი ამოქმედებიდან ერთი წლის განმავლობაში და შეიძლება განახლდეს ყოველწლიურად დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ელჩის ფილიპ დიმიტროვის განცხადება საქართველოში ევროკავშირის წევრი ქვეყნების მისიების ხელმძღვანელების სახელით

„ევროკავშირის წევრი ქვეყნების მისიების ხელმძღვანელები მივესალმებით სამოქალაქო კოდექსში შეტანილ და საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ ცვლილებებს, რომელიც შეეხება რელიგიური კონფესიების საჯარო სამართლის იურიდიული პირად დარეგისტრირებას. რწმენის თავისუფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლება და მთავარი ევროპული ღირებულებაა. ასევე მივესალმებით საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის პოზიციას, რომელიც მხარს უჭერს კანონის წინაშე ყველა რელიგიური აღმსარებლობის თანასწორობას, რაც წმინდა სინოდის ამასწინანდელ დადგენილებაშია ასახული.

ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოში სასამართლო სისტემის რეფორმასა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელშეწყობას

13 ივლისს ევროკომისიამ მიიღო 2011 წლის ყოველწლიური სამოქმედო პროგრამა საქართველოსათვის, რომელიც უზრუნველყოფს დახმარებას 50.73 მილიონი ევროს ოდენობით. ევროკავშირის მხრიდან საქართველოში სისხლის სამართლის სისტემის, კონფლიქტების მოგვარებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერა ეფუძნება წინა წლებში ამ სფეროებში განხორციელებულ წარმატებულ სამუშაოს. შტეფან ფულემ, კომისარმა გაფართოებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში, აღნიშნა: “საქართველომ მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია სისხლის სამართლის სისტემის რეფორმისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების მიმართულებით. მიღწეულია მნიშვნელოვანი შედეგი, თუმცა გასაკეთებელი კიდევ ბევრია. დღეს მიღებული პროგრამა უზრუნველყოფს შემდგომ დახმარებას ამ მიზნების მისაღწევად.”

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტსა და ბათუმის რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტს შორის მემორანდუმი გაფორმდა

21 ივლისს საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტსა და ბათუმის რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმდა მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, რაც ახალ საფუძველს ქმნის ღრმა და მჭიდრო თანამშრომლობისათვის და ხელს შეუწყობს როგორც საპარლამენტო კომიტეტის მუშაობის ეფექტურობის ამაღლებას, ასევე ბათუმის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა და სხვა მომიჯნავე დეპარტამენტების მხრიდან ექსპერტების ჩართულობას ევროპული ინტეგრაციის აქტუალურ თემებზე კვლევისა და კონსულტაციების პროცესში. ღონისძიების ფარგლებში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას დაემატა ევროკავშირის კუთხე უახლესი ლიტერატურითა და პუბლიკაციებით. მემორანდუმს ხელი მოაწერეს კომიტეტის თავმჯდომარემ ბატონმა დავით დარჩიაშვილმა და უნივერსიტეტის რექტორმა ბატონმა ალიოშა ბაკურიძემ.

გამოყენებული წყაროები:
http://eeas.europa.eu/delegations/georgia/index_en.htm
www.euractiv.com; www.euobserver.com;
www.europeanvoice.com

საინტერესოა:

ბათუმის კონფერენცია – ორი თვე აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტამდე

შტეფან ფულე, ევროკომისარი გაფართოების და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სფეროში

ივლისში, ისევე როგორც წინა წლებში, ევროპის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული საქართველოს მეგობრები ბათუმში მოიყრიან თავს. ეს შეკრება ჩვენი ურთიერთობების მუდმივი მახასიათებელი გახდა. ამ კვირაში დაგეგმილი მერვე კონფერენცია სახელწოდებით საქართველოს ევროპული გზა ის ღონისძიებაა, რომელსაც ვერ უგულებელყოფს ვერავინ, ვინც კი ყოველდღიურად, სისტემატიური მოლაპარაკების გზით საქართველოს ევროპულ მომავალს აშენებს. საქართველოს არჩევანი, იაროს ევროპასთან ინტეგრაციის გზით, საამაყოა და იმედისმომცემი. საამაყოა იმიტომ, რომ ეს არჩევანი არ არის ადვილი და ამთავითვე მოითხოვს მკაცრი რეფორმების განხორციელებას. იმედისმომცემი ეს არჩევანის იმიტომაა, რომ არავის შეაქვს ეჭვი მის სარგებლიანობაში.
დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ღია ეკონომიკის არჩევა სტაბილურობისა და კეთილდღეობის ძირითადი შემადგენელია. სამხრეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში განვითარებულმა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა დაგვარწმუნა, რომ მოქალაქეები, სულ უფრო უკეთ ხედავენ და იზიარებენ ამ ფასეულობებს, განურჩევლად იმისა, თუ სად ცხოვრობენ.
საქართველოსა და ევროკავშირს შორის მჭიდრო, მტკიცე და დინამიური ურთიერთობები ჩამოყალიბდა, რომლებიც საერთო მიზნების შესრულებას ემსახურება, კერძოდ, დემოკრატიის განმტკიცებასა და ტერიტორიული მთლიანობისადმი ერთგულებას. ჩვენ ბევრი მიმართულებით უნდა გადავდგათ ნაბიჯები წინ, მათ შორის ვაჭრობასა და უფრო მეტი თავისუფალი გადაადგილების მიმართულებით. ეს არ არის ადვილი საქმე, ვინაიდან სანამ რაიმე ხელშესახებ შედეგს მივაღწევდეთ, ბევრი ტექნიკური საკითხია მოსაგვარებელი. ყველაზე საგულისხმო მიღწეული წარმატებებია და ის, რომ მზად ვართ შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად.
2011 წლის ბათუმის კონფერენცია უმნიშვნელოვანეს დროს იმართება: სექტემბრის დამლევს საქართველოს ლიდერები და აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი დანარჩენი ქვეყნები ვარშავაში თავიანთ ევროკავშირელ პარტნიორებს შეხვდებიან.

სრული ტექსტის ნახვა შეგიძლიათ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ოფიციალურ ვებ–გვერდზე: eeas.europa.eu/delegations/georgia/

ევროსტატისტიკა

ევროკავშირის სტატისტიკა ინტერნეტის მომხმარების შესახებ

ევროკავშირის მრავალენოვან გაერთიანებაში, სადაც ყოველწლიურად იზრდება ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი, სულ უფრო აქტუალური ხდება საინფორმაციო ვებ-გვერდების სამუშაო ენის მნიშვნელობა. გასულ თვეს, ევროკავშირის სტატისტიკურმა ოფისმა ინტერნეტის მომხმარებელთა შორის ამ საკითხის შესახებ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები გამოაქვეყნა.
მონაცემების მიხედვით, ევროპელი მომხმარებელი ინტერნეტში საკმაოდ აქტიურად იყენებდა არამშობლიურ ენას. ევროგაერთიანების 23 ქვეყანაში მომხმარებელთა ნახევარი ინტერნეტში ინფორმაციას უცხო ენაზე მოიძიებდა. განსხვავებული იყო შედეგები უცხო ენაზე კითხვის და წერის შემთხვევაში. კერძოდ, ინტერნეტში ინფორმაციის წასაკითხად გამოკითხულთა 55% მშობლიური ენის გარდა ერთ უცხო ენას მაინც მოიხმარდა, ხოლო წერილების, მესიჯების ან სხვა კორესპონდენციის დასაწერად მას მხოლოდ გამოკითხულთა 35% იყენებდა. იტალიაში (52%), ჩეხეთში (61%), ირლანდიაში (80%) და გაერთიანებულ სამეფოში (82%) რესპოდენტთა უმრავლესობა მხოლოდ მშობლიურ ენაზე მოიხმარდა ინტერნეტს.
ინფორმაციის მიღება, კითხვა ან ახალი ამბების მოსმენა (81%), ნაცნობ-მეგობრებთან კავშირი (62%), ინტერნეტ-შოპინგი და პროდუქციის ძიება (57%) გამოკითხულთა მიერ ინტერნეტში უცხო ენაზე წარმოებული ძირითადი აქტივობაა.
გამოკითხულთა შორის ინგლისური ენა აღმოჩნდა ყველაზე გავრცელებული: 48% მას ინტერნეტში ინფორმაციის წასაკითხად მოიხმარს, ხოლო 29% – კორესპონდენციის დასაწერად. 10-დან ყოველი 9 მომხმარებელი ინტერენეტით სარგებლობას მშობლიურ ენაზე ამჯობინებს, ხოლო ამ ენაზე სათანადო ვებ-გვერდის არარსებობის შემთხვევაში 53% ინგლისურ ვერსიას ირჩევს. ამ მხრივ კვიპროსის (90%) და მალტის (97%) მოსახლეობა ყველაზე მეტად ინგლისურენოვან გვერდებს ანიჭებს უპირატესობას.
გამოკითხულთა 88%–ს მიაჩნია, რომ მათ ქვეყანაში შექმნილი ვებ-გვერდები უპირველეს ყოვლისა სახელმწიფო ენაზე უნდა არსებობდეს და 81%-ის აზრით დამატებით უცხო ენაზე თარგმნილი ვერსიაც უნსა იყოს. 44% აღნიშნა, რომ ვერ შეძლო საჭირო ინფორმაციის მიღება, რადგან სათანადო ვებ-გვერდები უცხო ენაზე იყო.
რაც შეეხება ზოგადად ინტერნეტით სარგებლობის ინტენსივობას, გაირკვა, რომ გამოკითხულთა 54% დღეში რამოდენიმეჯერ, 30% საშუალოდ დღეში ერთხელ, 13% კვირაში ერთხელ და მხოლოდ 3% თვეში ერთხელ მოიხმარს ინტერნეტს. მამაკაცები (58%) უფრო ხშირად სარგებლობენ ინტერეტით, ვიდრე ქალები (50%).

ევრობიბლიოთეკა

ევროპის თემაზე გამოცემული უახლესი ლიტერატურა

Martin Westlake and David Galloway
Council of the European Union
გამომცემელი: John Harper
ენა: ინგლისური

edited by David Spence
The European Commission
გამომცემელი:John Harper
ენა: ინგლისური

Kris Deschouwer & M. Theo Jans (eds.)
Politics Beyond the State: Actors and Policies in Complex Institutional Settings
გამომცემელი: VUB Press
ენა: ინგლისური

Guide to EU Financial Services
გამომცემელი: HVG-ORAC Publishing House Ltd
ენა: ინგლისური

წყარო: www.db.in.tum.de

განვაგრძობთ დაიჯესტის წინა ნომრებში დაწყებულ რუბრიკას – განათლება ევროპაში და გაწვდით ინფორმაციას სასწავლო სტიპენდიების შესახებ.

პადოვას უნივერსიტეტის (იტალია) სადოქტორო სტიპენდიები

პადოვას უნივერსიტეტი აცხადებს კვლევითი სტიპენდიების პროგრამას. სამწლიანი სადოქტორო პროგრამის ფარგლებში კანდიდატები უზრუნველყოფილნი იქნებიან საცხოვრებელი ადგილითა და უფასო მგზავრობით.
სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობაა: 2012 წლის 2 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე.
სტიპენდია მოიცავს ყოველწლიურად 13.638,47 ევროს.
განაცხადის გაგზავნის ბოლო ვადაა 2011 წლის 5 სექტემბერი.

ტრენტოს უნივერსიტეტის (იტალია) სადოქტორო სტიპენდიები

ტრენტოს უნივერსიტეტი აცხადებს სადოქტორო სტიპენდიების პროგრამას. პროგრამა სამწლიანია და მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- ★ მათემატიკა;
- ★ ფსიქოლოგიური მეცნიერებები და განათლება;
- ★ გარემოპირობების ინჟინერია;
- ★ შედარებითი და ევროპული სამართალი;
- ★ ბიომოლეკულური მეცნიერებები;
- ★ ჰუმანიტარული მეცნიერებები;
- ★ ფიზიკა.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მაგისტრის ხარისხის მფლობელ კანდიდატებს ზემოთ ჩამოთვლილ სპეციალობებში განურჩევლად სქესისა, ასაკისა და ეროვნებისა, თუ მათ მიერ მიღებული დიპლომი ოფიციალურად უთანაბრდება იტალიის ე.წ. “laurea specialistica” ან “laurea magistrale” დიპლომებსა და სერტიფიკატებს. უპირატესობა მიენიჭებათ სამეცნიერო განხრით მაგისტრის ხარისხის მქონე კანდიდატებს.
დაინტერესებულმა კანდიდატებმა ელექტრონულად უნდა შეავსონ სააპლიკაციო ფორმა.

განაცხადების გაგზავნის ბოლო ვადებია:

- ★ მათემატიკა- 30/09/2011 16:00:00 სთ.;
- ★ ფსიქოლოგიური მეცნიერებები და განათლება -31/08/2011 16:00:00 სთ.;
- ★ გარემოპირობების ინჟინერია - 12/10/2011 16:00:00 სთ.;
- ★ შედარებითი და ევროპული სამართალი - 27/07/2011 16:00:00 სთ.;
- ★ ბიომოლეკულური მეცნიერებები - 04/10/2011 16:00:00 სთ.;
- ★ ჰუმანიტარული მეცნიერებები -15/09/2011 16:00:00 სთ.;
- ★ ფიზიკა- 28/09/2011 16:00:00 სთ.

ნიდერლანდების უტრეხტის უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო სტიპენდიები

ნიდერლანდების სამეფოს უტრეხტის უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს წარჩინებული სტუდენტებისთვის სხვადასხვა სფეროებში საბაკალავრო და სამაგისტრო სტიპენდიების პროგრამას. სტიპენდიების ყოველწლიური ოდენობა განისაზღვრება 5000 ევროდან 27 300 ევრომდე.

საბაკალავრო პროგრამებია:

- ★ ეკონომიკა და ბიზნესეკონომიკა;
- ★ ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნიერებები.

განაცხადების ელექტრონულად გაგზავნის ბოლო ვადაა 2011 წლის 1 სექტემბერი.

ზემოთ ჩამოთვლილი სასწავლო სტიპენდიების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ შემდეგი ვებგვერდი www.iliauni.edu.ge ან მიმართეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ სერვის ცენტრს – თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 32, 219–220, ტელ.: (832) 229 47 11

euinfocentre@parliament.ge

EU Information and Documents Centre
ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრი საქართველოს პარლამენტში

FM 102.4
“ევროპის დროით ირინა ცერცვაძესთან ერთად.”
ყოველ შაბათს უსმინეთ გადაცემას **ევროპის დროით ირინა ცერცვაძესთან ერთად** საქართველოს რადიოს პირველი არხი

Konrad Adenauer Stiftung
კონრად ადენაუერის სახელობის ფონდის დაფინანსებით **“ევროპის დროით“** იბეჭდება საქართველოს 4 რეგიონულ გაზეთში

ნომერზე მუშაობდნენ:
ირინა ცერცვაძე, თეა ტარიელაშვილი
ქეთევან გუნიავა, თამარ ჭელიძე

“ევროპის დროით“
ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ
www.parliament.ge/ ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი